# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე № 85

ქ. წალენჯიხა

21ივნისი 2011 წელი

ერთის მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი (მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ №5 საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ციმინტიას სახით (შემდგომში –შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „მშენპროექტი-2007“ დირექტორი აპალონ კრილოვის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო მომსახურეობის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. ა)წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერი–საჩინო–ეწერის წყალსადენის რეაბილიტაცია, ბ) ზღვაიას დასახლების წყალსადენის რეაბილიტაცია,
გ) ქ. წალენჯიხაში მექნიზაციის ქუჩაზე ხიდის ბურჯის გამოცვლა,
დ) ფახულანის თემში უბადოღალის გზის რეაბილიტაცია,
ე) ქ. წალენჯიხაში სანიაღვრე არხების აღდგენა – რეაბილიტაცია.
ვ) საშანაოს უბანში მინი სტადიონის მოწყობა,
ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხრეშვითი სამუშაოები,
თ) სოფელ ეწერში წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის სახურავის შეკეთება,
.

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება 7000 ( შვიდიათასი) ლარი.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ხარჯთაღრიცხვები წარმოადგინოს როგორც ქაღალდის ასევე ელექტრონული ვერსია.
ბ) განახორციელოს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში ზედამხედველობა მიმდინარე სამუშაოებზე.
გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 21 ივლისამდე.

## 7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
7.2 ინსპექტირებას განახორციელებენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 20 ივნისის №1-142 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი და მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის და მშენებლობის სამსახური.

## 8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მომსახურეობის შესრულების- აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 9 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
9.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.
9.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესრულებული მომსახურეობის მიხედვით მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში, საბოლოო ანგარიშსწორება სამუშაოების დასრულების შემდეგ.

## 10 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

ა. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
ბ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის

გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულების 0, 07%.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

## 12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 21 ივნისიდან 2011 წლის 1 აგვისტომდე.

## 13 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14 ფორს-მაჟორი

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 15 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 16 სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, , რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე
16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 17 ხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| წალენჯიხის მუნიციპალიტეტი | შპს. „მშენპროექტი-2007“ |
| ს. კოდი 242739248 | ს/კ 242270449 |
| მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ. №5. III სართული. „ლიბერთი ბანკის“ წალენჯიხის ფილიალი | მისამართი. დ. ჩხოროწყუ. სტალინის ქ. 3 |
| ბ. კოდი LBRTGE22 | ს.ს. „ლიბერთი ბანკის “ჩხოროწყუს ფილიალი |
| ა/ა GE22LB0120179460264000 | ბ/კ LBRTGE22 |
| ტელ: 577 56 47 47 | ა/ა GE98LB0113119655334 1000 |
| | ტელ: 595 4018 74 |
| კახაბერ ციმინტია | აპალონ კრილოვი |